ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრისა და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრის

გიორგი ბირბიჩაძის

ა ნ გ ა რ ი შ ი

წარმოგიდგენთ ანგარიშს ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, დღემდე ვარ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6 მოწვევის მაჟორიტარი წევრი (ვაკის რაიონი, ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა ფშაველას კვარტლები), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრი, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრი.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია

მოგახსნებთ, რომ 2020 წლის ნოემბრიდან დღემდე ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად ორგანიზება გაუწია 18 კომისიის სხდომის ჩატარებას, კომისიის წევრებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული 21 საკითხი, რომელზეც მომზადდა შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმები და დასკვნები წარმოდგენილ საკითხებთან/ინიციატივებთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში კომისიაში შემოვიდა 254 განცხადება/წერილი, რომელზეც მოხდა შესაბამისი რეაგირება. მოქალაქეთა მიღებაზე გამოცხადდა 10 მოქალაქე, რომელთაც გაეწიათ შესაბამისი დახმარება ან ზეპირი/წერილობითი კონსულტაცია ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ მონახაზს იმ საკითხებზე, რომლებზეც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა და გასცა რეკომენდაციები.

შესწავლილი საკითხები:

<u>2020 წლის 19 ნოემბერი</u>

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მიმართულებით განისაზღვრა შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 164 376,9 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრა 20 019,3 ათასი ლარი, მათ შორის გაგრძელდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, დაავადებათა სკრინინგის ფარგლებში გამოკვლევების და ტრანსპლანტაციის დაფინანსება.

სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში განისაზღვრა 144 357,7 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდა ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამა 13 527,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 815,1 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 291,8 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 609,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 600,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 618,8 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 2 200,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 195,5 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 500,0 ათასი ლარი. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში - 1 054,5 ათასი ლარი და სხვა.

2020 წლის 8 დეკემბერი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, რომლის თანახმად გაიზრდა შემოსავლების ნაწილში სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 20 000,0 ათასი ლარით, შესაბამისად, ბიუჯეტის მოცულობამ შეადგინა 1 121 648,1 ათას ლარი.

გაიზრდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 220,0 ათასი ლარით, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 1 700,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (06 02 02) – 330,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02) – 8,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 160,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 90,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 40,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 50,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 160,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 62,3 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 79,8 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) – 46,0 ათასი ლარით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28) – 80,0 ათასი ლარით.

შემცირდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) – 30,0 ათასი ლარით, ,,c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკა" (კოდი 06 01 12) – 67,0 ათასი ლარით, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) - 220,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება მოსწავლე ხალგაზრდობის

სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01) – 60,0 ათასი ლარით, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) – 300,0 ათასი ლარით, სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) – 170,0 ათასი ლარით, სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) – 400,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) – 1 400,0 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება (კოდი 06 02 10) – 21,0 ათასი ლარით, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) – 18 652,0 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 14 14) – 12,4 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 15 10) – 4,2 ათასი ლარით, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 15 15) – 6,0 ათასი ლარით, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) – 4,3 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 17 10) – 6,5 ათასი ლარით, ომის ვეტერანების დახმარება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 17 15) – 3,9 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (კოდი 06 02 24) – 20,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25) – 46,0 ათასი ლარით, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) – 50,0 ათასი ლარით.

გარდა ამისა, დაზუსტდა შემდეგი ქვეპროგრამების აღწერილობითი ნაწილი: დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02), გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11).

<u>2020 წლის 15 დეკემბერი</u>

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილების პროექტი;
- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-9 დადგენილებაში, კერძოდ, აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესის“ (დანართი №6) მე-11 მუხლს დაემატა მე-6 და მე-7 პუნქტები, ვინაიდან ქვეპროგრამის მიმწოდებელი დაწესებულებები ვერ ახერხებდნენ მომსახურების გაწევას, ახალი კორონა ვირუსის პანდემიასთან დაკავშირებული გარემოებების გამო, პროექტის მიზანი იყო, მიუხედავად ამ გარემოებებისა, მათთან დასაქმებულ პირებს შეუნარჩუნებოდათ ხელფასი. პროექტის მიღებაა არ გამოიწვევია აუცილებელი ხარჯების გამოყოფა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

<u>2020 წლის 25 დეკემბერი</u>

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის №51-104 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 136,0 ათასი ლარით, რაც პირველად წარდგენილ პროექტთან (164 376,9 ათასი ლარი) შედარებით შემცირებულია 10 240,9 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 20 019,3 ათასი ლარი, მათ შორის გაგრძელდა გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, დაავადებათა სკრინინგის და ტრანსპლანტაციის დაფინანსება. სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებული იყო 134 116,7 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდა სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი

ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით მეტროთი რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურება, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა. გაიზარდა უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში - 1 719,1 ათასი ლარით და განისაზღვრა 20 194,5 ათასი ლარის ოდენობით (უზრუნველყოფილი იქნა უფასო კვებით თბილისის რაიონებში მომლოდინე სიებში არსებული მოქალაქეები), სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამა განისაზღვრა 13 527,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 19 115,1 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 650,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 609,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 690,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 410,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 1 610,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 3 026,1 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 100,0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 220,0 ათასი ლარი.

თბილისის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების მიმართულებით გაგრძელდა იმ პროგრამების დაფინანსება, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები მათი საჭიროებების შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნებიან გარანტირებული სოციალური დახმარებით.

<u>2020 წლის 29 დეკემბერი</u>

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვ ის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ;
- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ.

პროექტის თანახმად, დამტკიცდა ქვემოთ ჩამოთვლილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალსიწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები:

„დაავადებათა სკრინინგის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი,

„გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი,

„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი,

„ტრანსპლანტაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი,

„ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი,

„ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი,

„გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი.

ასევე, სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესები:

„სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ (კოდი: 06 02 25) განხორციელების წესი";

„100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 05)განხორციელების წესი“;

„სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი",;

„სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) და სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების“ (კოდი: 06 02 24) ქვეპროგრამების განხორციელების წესი";

„უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ (კოდი: **06 02 06 01)** და „უფასოსწავლება ხელოვნების სკოლებში“ (კოდი: **06 02 06 02)** ქვეპოგრამების განხორციელების წესი“;

„უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" (კოდი: **06 02 06 03)** ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესი“;

„შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: **06 02 26)** ქვეპროგრამის განხორციელების წესი“.

<u>2021 წლის 22 იანვარი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების 2020 წლის ანგარიში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა წარმოადგინა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ქვეპროგრამების 2020 წლის ანგარიში.

დაავადებათა სკრინინგი (პროგრამული კოდი 06 01 02)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
06 01 03	**დაავადებათა სკრინინგი**	1 862.3	1 862.1	99.99%

გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 03)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
06 01 03	**გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის პროგრამა**	572,9	530,4	92.6%

გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 05)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
06 01 05	**გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება**	956,3	717,6	75,03%

აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 06)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
06 01 06	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა	5 210,0	4 792,9	92,0%

ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 07)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
06 01 07	ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების პროგრამა	3 720,0	3 693,5	99,29%

ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 06 01 13)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
06 01 13	ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა	9 450,0	9 374,3	99.2%

ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 08)

პროგრამული კოდი	დასახელება	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % პერიოდის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
06 01 08	ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება	600.0	587,0	97,8%

კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს განხორციელდა 46191 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)	2020 წელს იგეგმება 40 075-მდე ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)	2020 წელს განხორციელდა 32604 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)	18.6%	ცდომილება გამოწვეულია COVID19 პანდემიის პირობებში მთავრობის მიერ განხორციელებულმა სუბსიდიამ (200 კვტ/სთ-ზე ქვემოთ მოხმარების მქონე ოჯახებისათვის)

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს დახმარება გაეწია 15648 ბავშვს, საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა იყო	2020 წელს დახმარების გაწევა იგეგმება 16 500 ბავშვისათვის, საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ კვლავ 50% გოგონა მოიაზრება	2020 წელს დახმარება გაეწია 16870 ბავშვს, საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა იყო	2.2 % გადაჭარბებით	გაიზარდა სოც. დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობა. გაზრდილი იქნა პროგრამის ბუჯეტიც 525 ათასი ლარით.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04 01)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მისაღებად გაიცა 1387 ვაუჩერი. მათ შორის 37.6% გოგონასათვის	2020 წელს დაგეგმილი იყო 1295 ვაუჩერების გაცემა. მათ შორის 37.6% გოგონასათვის	2020 წელს დაფინანსდა 1387 ვაუჩერი. მათ შორის 43.6% გოგონასათვის	7.1% გადაჭარბებით	პროგრამაში დამატებით ჩართული იქნა მომლოდინე ბენეფიციარები.

100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 05)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს დახმარება მიიღო 33-მა ხანდაზმულმა	2020 წელს დაგეგმილი იყო დახმარების გაწევა 38 პირისათვის	2020 წელს დახმარება გაეწია 38 პირს	0%	

უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (კოდი 06 02 06 01)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს პროგრამით გათვალისწინებ	2020 წელს დაგეგმილი იყო 1987 ბავშვის	2020 წელს განხორციელდა 1833 ბავშვის	7.8%	ცდომილება გამოწვეულია COVID19 პანდემიის გამო

	ული დაფინანსებით ისარგებლა 1927 ბავშვმა, საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ 51.4% გოგონა იყო	სწავლების დაფინანსება საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ კვლავ 54.1% გოგონა მოიაზრებოდა	სწავლების დაფინანსება, საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ 51.4% გოგონაა		წარმოქმნილი შეფერხებებით

უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში (კოდი 06 02 06 02)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსებით ისარგებლა 2524 ბავშვმა, საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ 59% გოგონა იყო	2020 წელს დაგეგმილი იყო 2574 ბავშვისათვის სწავლების დაფინანსება, საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ კვლავ 59% გოგონა მოიაზრებოდა	2020 წელს პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსებით ისარგებლა 2528 ბავშვმა, საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ 59% გოგონა იყო	1.8%	სოც. დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობის ცვლილება

უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსებით	2020 წელს დაგეგმილი იყო 1647 ბავშვის სწავლებაის	2020 წელს პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსებით	43.4%	ცდომილება გამოწვეულია COVID19 პანდემიის გამო წარმოქმნილი შეზღუდვებით

	ისარგებლა 1584 ბავშვმა, საშუალოდ თვეში	დაფინანსება საშუალოდ თვეში	ისარგებლა 932 ბავშვმა საშუალოდ თვეში		

„სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)" პროგრამული კოდი 06.02.06.04.

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს გაიცა 81 792 პლასტიკური ბარათი	2020 წელს იგეგმებოდა 81734 პლასტიკური ბარათის გაცემა	2020 წელს გაიცა 17189 პლასტიკური ბარათი	79%	ცდომილების მაჩვენებელი განპირობებულია Covid 19-ის პანდემიასთან დაკავშირებით, საქალაქო ტრანსპორტზე დაწესებული შეზღუდვებით

სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (06 02 09)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს დაფინანსდა 17 469 განცხადება	2020 წელს დაგეგმილი იყო 16000-მდე განცხადების დაფინანსება	2020 წელს დაფინანსდა 12 516 განცხადება	21.8%	ცდომილება განპირობებულია COVID 19-ის პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვებით, გეგმიური სამედიცინო მომსახურების შემცირების გამო.

ომის ვეტერანთა დახმარება (06 02 10)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს პროგრამით გათვალისწინებული თანხა მიიღო 250 პირმა	2020 წელს დაგეგმილი იყო 200 პირის დაფინანსება	2020 წელს პროგრამით გათვალისწინებული თანხა მიიღო 200 პირმა	0%	

მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა (კოდი 06 02 13)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს მომსახურებით ისარგებლა 145-მა ხანდაზმულმა, საშუალოდ თვეში	2020 წელს დაგეგმილი იყო 145 ხანდაზმულის მომსახურება, საშუალოდ თვეში	2020 წელს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლა 145-მა ხანდაზმულმა, საშუალოდ თვეში	0%	

პალიატიური ზრუნვა (კოდი 06 02 21 01)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წელს მომსახურებით ისარგებლა 130-მა ბენეფიციარმა,	2020 წელს დაგეგმილი იყო 141 ბენეფიციარის მომსახურება, საშუალოდ თვეში	2020 წელს მომსახურებით ისარგებლა 115-მა ბენეფიციარმა, საშუალოდ თვეში	18.4%	ნაკლები მომართვიანობა

	საშუალოდ თვეში				

,,სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება“ (პროგრამის კოდი 06.02.22)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	წლის განმავლობაში ორჯერ, საშუალოდ 941 ბენეფიციარისა თვისირიცხებო და კუთვნილი დახმარება	2020 წელს დაგეგმილი იყო ორჯერ წლის განმავლობაში, საშუალოდ 1010 ბენეფიციარის დაფინანსება	2020 წელს ორჯერ წლის განმავლობაში, საშუალოდ 1059 ბენეფიციარი დაფინანსდა	4.9% გადაჭარბები თ	სოც. დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობის ცვლილება

,,ვოლდ ვიჟენის“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება (კოდი 06 02 23)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წლის განმავლობაში დღის ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 24 ბავშვმა, საშუალოდ თვეში	2020 წელს დაგეგმილი იყო 24 ბავშვისათვის მომსახურების მიწოდება, საშუალოდ თვეში	2020 წელს მომსახურება გაეწია 22 ბავშვს, საშუალოდ თვეში	8.3%	ნაკლები მომართვიანობა

სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება (პროგრამის კოდი 06.02.24)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	წლის განმავლობაში სამჯერ, საშუალოდ 587 ბენეფიციარისა თვის ირიცხებოდა კუთვნილი დახმარება	2020 წელს დაგეგმილი იყო სამჯერ, საშუალოდ 628 ბენეფიციარის დაფინანსება	2020 წელს სამჯერ წლის განმავლობაში, საშუალოდ 591 ბენეფიციარი დაფინანსდა	5.9%	სოც. დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობის ცვლილება

სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება (კოდი 06 02 25)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წლის განმავლობაში დახმარება გაეწია 643 ბავშვის ოჯახს	2020 წელს დაგეგმილი იყო 891 ბავშვის ოჯახის დაფინანსება	2020 წელს დახმარება გაეწია 755 ბავშვის ოჯახს	15%	სოც. დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობის ცვლილება

შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 846	2020 წელს დაგეგმილი იყო 900 ბენეფიციარისათვ	2020 წელს მომსახურება გაეწია 780 ბენეფიციარს,	13.3%	ცდომილება გამოწვეულია COVID19 პანდემიის გამო

	ბენეფიციარს, საშუალოდ თვეში. მათ შორის საშუალოდ 590 პირი მდედრობითი სქესის იყო	ის მომსახურების გაწევა, საშუალოდ თვეში. მათ შორის 630 მდედრობითი სქესის ბენეფიციარი	საშუალოდ თვეში. მათ შორის 590 მდედრობითი სქესის ბენეფიციარი იყო		წარმოქმნილი შეფერხებებით

შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა (კოდი 06 02 28)

	დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		**მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი**		**განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე**
№	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	2019 წლის განმავლობაში დაფინანსდა 79 განცხადება/პროექტი	2020 წელს დაგეგმილი იყო 69 განცხადება/პროექტის დაფინანსება	2020 წელს დაფინანსდა 111 განცხადება/პროექტი	60.9%	მომართვიანობის გაზრდა

<u>2021 წლის 16 თებერვალი</u>

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29დეკემბრის N72-136 დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში” (შემდგომში-წესი) (დანართი №5) კერძოდ, მოქმედი რედაქციით, ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდებოდა მედიკამენტი პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ერთად, რომელსაც აქვს მხოლოდ ინტრავენური ფორმით მიღების შესაძლებლობა, წარმოდგენილი პროექტით კი დაემატა მედიკამენტი „ფესგო“, რომელიც

თავისი შემადგენლობით იგივეა რაც პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ერთად, იმ განსხვავებით, რომ აღნიშნული მედიკამენტის მიღების ფორმა კანქვეშ შეყვანაა. ამ ცვლილებით, ბენეფიციარს საშუალება ეძლევა თავად აირჩიოს რომელი ფორმით მიიღებს მედიკამენტს.

<u>2021 წლის 5 მარტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის დადგენილი ტარიფის ანაზღაურების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებით, დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, რომლის მე-13 მუხლით დამტკიცდა ქვეპროგრამა „საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება“ (კოდი: 06 02 11). აღნიშნული ქვეპროგრამის ბოლო აბზაცში აღნიშნულია შემდეგი: „M_2 კატეგორიის იმ ავტობუსებით (გარდა სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ ავტობუსებისა), სადაც დადგენილი ტარიფის გადახდა ხორციელდება ელექტრონული აღმრიცხველი საშუალებების გამოყენებით, რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, ერთჯერადი დადგენილი ტარიფის გათვალისწინებით, ქვემოთ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებზე შეღავათიანი (ერთი დღის განმავლობაში ჯამში არაუმეტეს 4 მგზავრობის უფლებით), 50%-იანი ფასდაკლებით მგზავრობის უფლების მინიჭება და ამ შემთხვევაში ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე მგზავრობის ფასის/დადგენილი ტარიფის სრული ოდენობის შესავსებად თანხების ანაზღაურება (ნებართვების მფლობელთა მიერ ერთი და იმავე დღის განმავლობაში მე-2 და ყოველი მომდევნო მგზავრობისას განსაზღვრული 0,65 ლარიანი მგზავრობის ფასის შემთხვევაში შეღავათიანი დადგენილი ტარიფით მოსარგებლე ფაქტიურად გადაყვანილ თითოეულ მგზავრზე 0,33 ლარის ანაზღაურება) თბილისში რეგისტრირებული შემდეგი კატეგორიების მოქალაქეებისათვის: ა) მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები, მათ შორის სამოქალაქო ავიაციის მფრინავები, რომლებიც ასრულებდნენ სპეციალურ რეისებს საომარი მოქმედების ზონაში; გ) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე საბრძოლო მოქმედებების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები; დ) სამხედრო ძალების

ვეტერანები; ე) მეორე მსოფლიო ომში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიებზე მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა (გარდაცვლილთა), მათ შორის, ომის შემდგომ გარდაცვლილთა (უგზო-უკვლოდ დაკარგულთა) ოჯახების წევრები; ვ) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ 70000 და დაბალი სარეიტინგო ქულის მქონე თბილისის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები.“.

<u>2021 წლის 19 მარტი</u>

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში” (შემდგომში-წესი) (დანართი №5) კერძოდ, წარმოდგენილი პროექტით, წესის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში - მედიკამენტების „პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი“ (დოზა - 420 მგ/14მლ (30მგ/მლ) 14 მლ კონცენტრატი ი.ვ. საინფუზიო ხსნარის მოსამზადებლად ფლაკონი № 1) კომბინაციის შემთხვევაში, 1 ფლაკონი „პერტუზუმაბისა“ და მოსარგებლის საჭიროებიდან გამომდინარე „ტრასტუზუმაბის“, „ფესგოს“(დოზა - (600მგ+600მგ+20,000ერთეული)/10მლ 10 კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1 ან (1200მგ+600მგ+30,000ერთეული)/15მლ 15 კანქვეშ შესაყვანი საინექციო ხსნარი ფლაკონი №1) შესაბამისი რაოდენობის ფლაკონების ქვეპროგრამის ფარგლებში მიეთითა არაუმეტეს 4695 ლარის ტარიფით მიწოდება, ნაცვლად 4995 ლარის ტარიფისა.

<u>2021 წლის 2 აპრილი</u>

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესში” (შემდგომში-წესი) (დანართი №3) კერძოდ, წესის მოქმედი რედაქციის მიხედვით ქვეპროგრამის ფარგლებში თვეში ფინანსდებოდა არაუმეტეს 1230 ბენეფიციარი, წარმოდგენილი პროექტით კი დაემატა ბენეფიციარების ლიმიტის რაოდენობა და გაიზარდა 145 ერთეულით, შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტში მიეთითა 1375 ბენეფიციარი, ნაცვლად 1230 ბენეფიციარისა.

<u>2021 წლის 27 აპრილი</u>

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ .

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქრო სამსახურმა წარმოადგინა ინფორმაცია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით:

ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 22,371.5 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 21,557.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2%. მათ შორის: ⎫ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 2,392.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,435.1 ათასი ლარი) 98.3%-ია; ⎫ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 19,165.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (19,936.3 ათასი ლარი) 96.1%-ია;

სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 127,368.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 124,996.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 11.7%. მათ შორის: ⎫ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 3,415.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,631.3 ათასი ლარი) 94.1%-ს შეადგენს; ⎫

ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 417.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (445.4 ათასი ლარი) 93.8%-ია; ⎫ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 38,540.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (39,690.2 ათასი ლარი) 97.1%-ია; ⎫ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 7,652.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (7,748.4 ათასი ლარი) 98.8%-ია; 25 ⎫ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 74,969.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (75,852.9 ათასი ლარი) 98.8%-ია.

2021 წლის 29 აპრილი

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე,

გაიზარდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნენები:

დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 250,0 ათასი ლარი (ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის დიდუბის ფილიალში რემონტი), აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 400,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) – 1 800,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 149,7 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 375,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 14,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 154,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 23,6 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 39,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 51,4

ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 60,8 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 66,6 ათასი ლარი,

შემცირდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 20 01) – 495,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 20 03) – 300,0 ათასი ლარი,

<u>2021 წლის 21 მაისი</u>

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანმა გიგა სოფრომაძემ წარმოადგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ისაუბრა აღნიშნული პროექტის ძირითადი არსის შესახებ.

თანამედროვე ქალაქის აუცილებელი მახასიათებელია საზოგადოებრივი სერვისების მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა, რაც გულისხმობს ქალაქის ინფრასტრუქტურით საჯარო თუ კერძო ობიექტებითა და სერვისებით მარტივი სარგებლობის შესაძლებლობას ყველასათვის. ვინაიდან ასეთი ტიპის ქალაქის განვითარება შეუძლებელია კარგად გააზრებული ხედვისა და მიზანმიმართული, კოორდინირებული სტრატეგიული გეგმის გარეშე. ქ.თბილისის 2021-2024 წწ. შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა (შემდგომში - სამოქმედო გეგმა) წარმოადგენს სწორედ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით შემუშავებულ პირველ ასეთ დოკუმენტს, რომლის მიზანია ქ.თბილისის

ინკლუზიური განვითარება და მის ყოველდღიურ ცხოვრებაში შშმ პირთა თანაბრად მონაწილეობის უზრუნველყოფა შესაბამისი შესაძლებლობების განვითარებით.

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია კონცეპტუალური ხედვა, პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებები და დასახულია კონკრეტული, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გასატარებელი ღონისძიებები. პასუხისმგებელი უწყებებისთვის ის წარმოადგენს გზამკვლევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა შესაძლო სფეროსა და სივრცეში შშმ პირთა მონაწილეობის პროგრესული ზრდისთვის. იგი ეფუძნება არსებული მდგომარეობის შესწავლას, ითვალისწინებს შშმ პირთა უფლებების გაეროს 2006 წლის კონვენციისა და 2020 წელს მიღებულ ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის პრინციპებს.

სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ შშმ პირების, მათი წარმომადგენლობითი და უფლებადამცველი ორგანიზაციების მონაწილეობით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის კომისიებთან კონსულტაციებით და ასახავს მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და მოთხოვნებს. ასევე, წარმოდგენილ იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შევიდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის N72-136 დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესში” (შემდგომში-წესი) (დანართი №5) კერძოდ, შეიცვალა მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი, მე-6 პუნქტი და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „გ“, „დ“ ქვეპუნქტი, ამასთან ამავე პუნქტს დაემატა „დ[1]“ ქვეპუნქტი.

2021 წლის 22 ივნისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტით დამტკიცდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“, რომლითაც განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები“ (კოდი: 06 02 09) განხორციელების პირობები, ქვეპროგრამაში ჩართვის კრიტერიუმები, განცხადების განხილვისა და დაფინანსების პროცედურები, დაფინანსების მოთხოვნის ადმინისტრირება, დაფინანსების ოდენობა და პრიორიტეტული ჯგუფები, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების პროცედურა, მონიტორინგი და შემოწმების შედეგები. პროექტის მეორე დანართით მტკიცდება „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის“ დებულება, რომლითაც დადგენილია, პირველი დანართით გათვალისწინებული წესით დადგენგენილი მოსარგებლეების განცხადებების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა სამედიცინო მომსახურების/სხვა საჭიროების დაფინანსების თაობაზე. გათვალისწინებულია კომისიის თავმჯდომარის უფლებამოსილება, კომისიის შემადგენლობა, კომისიის სხდომის გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი, კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

2021 წლის 23 ივლისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71 - 134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე წელს მისაღები შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმად,

გაიზარდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 390,0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 258,4 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 260,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 438,3 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) – 500,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 16 10) – 15,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 08 08) – 200,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 308,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 269,3 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 149,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 82,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 100,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 100,0 ათასი ლარი.

შემცირდა შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები:

უფასო სასადილოებით მომსახურება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 14 09) ქვეპროგრამის ასიგნება – 84,3 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება ისნის რაიონში (კოდი 06 02 14 12) – 49,2 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 14 13) – 82,1 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 11,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 17 09) – 5,2 ათასი ლარი.

2021 წლის 20 აგვისტო

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი პროგრამებისა და მომავალი გეგმების შესახებ.

მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ ადმინისტრირებადი პროგრამების შესახებ ინფორმაცია მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა წარმოადგინა.

ჯანდაცვის პროგრამებიდან ყურადღება გამახვილდა დაავადებათა სკრინინგზე, გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიურ კონტროლზე, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებაზე, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციაზე, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსებაზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურებაზე და ტრანსპლანტაციაზე.

რაც შეეხება სოციალურ პროგრამებს, იმსჯელეს: სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დაფინანსება, კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში, 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება, ომის ვეტერანების დახმარება, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება, სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება, შშმ პირთა საკურორტო მომსახურება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის შინმოვლის თანადაფინანსება, სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის ხელშეწყობა, მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა, მგზავრობის შეღავათიანი საფასურით სარგებლობისთვის ბარათების დამზადება.

ქალაქ თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური 2021 წელს ადმინისტრირებას უწევს ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების 25 პროგრამას:

ჯანდაცვის პროგრამები - 7,

სოციალური მომსახურების პროგრამები - 18.

აღნიშნული პროგრამებისთვის ბიუჯეტი შეადგენს 58 442 850 ლარს.

მათ შორის:

ჯანდაცვის პროგრამები - 20 669 250 ლარი,

სოციალური მომსახურების პროგრამები - 37 773 600 ლარი.

<u>2021 წლის 7 სექტემბერი</u>

ა(ა)იპ ,,თბილისის მუნიციპალური თავშესაფარი"-ს მიმდინარე წლის ანგარიში
(ლილოს მიუსაფართა თავშესაფარი ვარკეთილის, ორხევის და დიდი დიღმის სოციალური საცხოვრისები)

2021 წლის 1 იანვრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით, ლილოს მიუსაფართა თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 150-მა მიუსაფარმა პირმა. მათგან, 61 ქალი და 91 კაცი.
2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში ირიცხება 91 ბენეფიციარი: 43 ქალი და 48 მამაკაცი.
გასული 8 თვის განმავლობაში (31 აგვისტოს მდგომარეობით) თავშესაფარში ჩაირიცხა 70 ახალი ბენეფიციარი: 19 - ქალი; 51 - მამაკაცი.
2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში ცხოვრობს 15 შშმ პირი, მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე - 11 ბენეფიციარი; რომლებიც ,,ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში" აღრიცხვაზე იმყოფებიან და სარგებლობენ სახელმწიფო პროგრამით.
ხანდაზმული - 39 ბენეფიციარი; 29 ქალი და 10 კაცი.
თავშესაფრის ბენეფიციართა კვებით უზრუნველყოფა: საანგარიშო პერიოდში თავშესაფრის ბენეფიციარებს, დღეში ორჯერადი კვების გათვალისწინებით, 484- ჯერ მიეწოდათ 45 273 ბენეფიციარზე გათვლილი 63 294.89 ლარის ღირებულების საკვები.
<u>სანიტარულ - ჰიგინური მომსახურება:</u> ლილოს მიუსაფართა თავშესაფარსა და სოციალურ საცხოვრისებში (დიდი დიღომი, ვარკეთილი, ორხევი) თვეში ერთხელ (ან/და საჭიროებისამებრ) ტარდება სანიტარული მომსახურება, კერძოდ დეზინფექცია, დეზინსექცია და დერატიზაცია (2720 ლარი).

სოციალური სახლები

„ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის“ მმართველობის სფეროში შედის ვარკეთილის, ორხევისა და დიდი დიღმის სოციალური სახლები, რომლებშიც განთავსებულია სოციალურად დაუცველი და უსახლკარო 152 ოჯახი (500 მაცხოვრებელი), მათგან: ხელშეკრულებით - 126 ოჯახი, ხოლო ხელშეკრულების გარეშე - 26 ოჯახი.

კოვიდპანდემიის დროს მუშაობა

საცხოვრისებში მუშაობა მიმდინარეობდა ეპიდომიოლოგების მიერ მოწოდებული პროტოკოლის შესაბამისად. უსაფრთხოების ზომების დაცვა სპეციალისტების სამუშაო სივრცის სიმცირის გამო არ იძლეოდა შესაძლებლობას ოთახებში გაგრძელებულიყო მუშაობა, ამის გამო გაზაფხული-შემოდგომის პერიოდში ჯგუფური შეხვედრები გადატანილი იყო საცხოვრისის ეზოში ან პარკში. ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკები მუდმივ კომუნიკაციაში იყვნენ ოჯახებთან. ნოემბერ-დეკემბრის თვეებში ფსიქოლოგი ყოველდღიურ სატელეფონო კავშირს ამყარებდა იმ ბენეფიციარებთან, რომლებთანაც მუშაობდა. სოციალური მუშაკები და

ვარკეთილის სოციალური სახლი

- 2021 წლის საანგარიშო პერიოდში, ვარკეთილის სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 300 ინდივიდუალური შეხვედრა. 147 შეხვედრა ოჯახებთან; 3 ოჯახური კონფერენცია;
- 89 ბენეფიციარი გადამისამართდა გარე სერვისებთან;
- ასევე, ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები:
- ✓ კინოკლუბი 4-ჯერ;
- ✓ ცოდნის სამყარო 4-ჯერ;
- ✓ შრომითი თერაპია (ხატვა, ძერწვა) ინდივიდუალურად 6- ჯერ.

სულ, სამივე აქტივობაში წლის განმავლობაში ჩართული იყო 43 ბავშვი.

- დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე- www.worknet.gov.ge სოციალური მუშაკების მიერ რეგისტრირდება ყველა შრომისუნარიანი ბენეფიციარი;
- პროფესიულ კურსში ჩართვა შეეთავაზა 5 ბენეფიციარს (ქალი - 1; არასრულწლოვანი - 4), თუმცა ჩაერთო მხოლოდ ერთი ბენეფიციარი (ქალი - 1);
- ვარკეთილის სოციალურ სახლში სტაბილურად დასაქმებული ბენეფიციარების რიცხვი შეადგენდა 116-ს; პერიოდულად დასაქმებული - 75 ბენეფიციარს;
- მიმდინარე პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო საცხოვრისის 191 ბენეფიციარი; ქალი - 78; კაცი - 113 (მათგან: შშმპ - 6; არასრულწლოვანი - 6);

- სოციალური მუშაკის უშუალო ჩართულობითა და დახმარებით დასაქმებულ ბენეფიციართა რიცხვი შეადგენს 5-ს.

ორხევის სოციალური სახლი

2021 წლის საანგარიშო პერიოდში, ორხევის სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 233 ინდივიდუალური შეხვედრა. 77 შეხვედრა ოჯახებთან;

- 36 ბენეფიციარი გადამისამართდა გარე სერვისებთან;
- ასევე, ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები:
- ✓ კინოკლუბი 5-ჯერ;
- ✓ ცოდნის სამყარო 15-ჯერ;
- ✓ ეზოს თამაშები 2- ჯერ.

სულ, სამივე აქტივობაში წლის განმავლობაში ჩართული იყო 100 ბავშვი.

- დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე- www.worknet.gov.ge სოციალური მუშაკების მიერ რეგისტრირდება ყველა შრომისუნარიანი ბენეფიციარი;
- პროფესიულ კურსში ჩართვა შეეთავაზა 12 ბენეფიციარს (ქალი - 6; კაცი - 2; არასრულწლოვანი - 4), ჩაერთო 4 ბენეფიციარი (კაცი - 1; არასრულწლოვანი - 3);
- ორხევის სოციალურ სახლში სტაბილურად დასაქმებული ბენეფიციარების რიცხვი შეადგენდა 84 -ს; პერიოდულად დასაქმებული - 89 ბენეფიციარს;
- მიმდინარე პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო საცხოვრისის 173 ბენეფიციარი; ქალი - 101; კაცი - 71 (მათგან: შშმპ - 6; არასრულწლოვანი - 6);
- სოციალური მუშაკის უშუალო ჩართულობითა და დახმარებით დასაქმებულ ბენეფიციართა რიცხვი შეადგენს 4-ს.

სოციალური სახლები

ვარკეთილის სოციალური სახლი

- **საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა:** სულ - 55 (ქალი - 38; კაცი - 6; არასრულწლოვანი - 11);
- **განხორციელებული ფსიქოლოგიური სესიების რაოდენობა:**
  ინდივიდუალური - 67;
  ოჯახებთან - 22.

2021 წლის იანვარ - თებერვალის თვეში ვარკეთილის სოციალურ საცხოვრისში ბენეფიციარებთან ფსიქოლოგიური მუშაობა, ძირითადად, დისტანციურად, სატელეფონო ან ვიდეო ზარის მეშვეობით განხორციელდა. განხორციელდა 21 დისტანციური კონსულტაცია.

2021 წლის 2 აპრილი

თბილისის საკრებულოში აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის მიმწოდებელი ცენტრებისა და აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გამართული შეხვედრა, რომელსაც თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი ესწრებოდა, გიორგი ბირბიჩაძემ გახსნა და დამსწრე საზოგადოებას „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში“ შეტანილი ცვლილებები გააცნო. კომისიის თავმჯდომარის თქმით, ცვლილება „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესს და პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობის გაზრდას ეხება.

შეხვედრაზე, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და მშობლებმა საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლებთან ერთად, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესახებ იმსჯელეს.

„აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამაში“ შეტანილი ცვლილების თანახმად, ბენეფიციარების რაოდენობა 145-ით იზრდება და კომპლექსური თერაპიის კურსების გავლის შესაძლებლობა 1375 ბენეფიციარს ექნება.

საკრებულოში გამართულ შეხვედრას თბილისის მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი გიგა სოფრომაძე ესწრებოდა.

2021 წლის 10 ივნისი

თბილისის საკრებულომ ლვოვის საქალაქო საბჭოს წევრებს უმასპინძლა. შეხვედრის ფარგლებში პარტნიორი ქალაქების საკანონმდებლო ორგანოს წევრებმა განიხილეს ჯანდაცვის, სოციალური და განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები და განხორციელებული პროექტები.

მხარეები შეთანხმდნენ სხვადასხვა სახის თანამშრომლობაზე ქალაქებს შორის საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მიზნით.

2021 წლის 30 ივნისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დიმიტრი ყიფიანის სახელობის დარბაზში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარებს იმ პროგრამების, პროექტებისა და აქტივობების შესახებ მიეწოდებათ ინფორმაცია, რომელთაც დედაქალაქის მერია ჯანმრთელობის დაცვისა და სოცილური მიმართულებით ახორციელებს.

გიორგი ბირბიჩაძე - ქალაქ თბილსიის მუნიციპალიტეტის მერიის სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობის კომისიის წევრი.

2020 წლის ნოემბრიდან დღემდე კომისიამ განიხილა და დახმარება გაუწია დაახლოებით 10961 ბენეფიციარს შემდეგი კლასიფიკაციით:

დაავადების კლასი	**სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებლი მოთხოვნების რაოდენობა**	**კომისიის გადაწყვეტილება ლარი**
ინფექციური დაავადებები	50	50,025
სიმსივნეები	2,789	5,095,939
კეთილთვისებიანი სიმსივნეები	718	737,471
ენდოკრინული სისტემის კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დაავადებები	346	182,379
ფსიქიკური და ქცევითი აშლილოებები	99	50,067
ნერვული სისტემის დაავადებები	596	409,753
თვალის მისი დანამატებისა და ყურის დვრილისებრი მორჩის დაავადებები	160	159,819
სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	2,307	2,233,380
სასუნთქი სისტემის ავადმყოფობები	152	252,412
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	574	694,612
ძვალ კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	1,062	1,230,010
შარდ სასქესო სისტემის დაავადებები	620	534,393
ორსულობა მშობიარობა და ლოგინობის ხანა	7	6,600
პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობები	1	30,000
თანდაყოლილი მანკები დეფორმაციები და ქრომოსომული დარღვევები	128	189,421

განვითარების ეტაპების დაყოვნება	771	580,981
დაზიანებები ტრავმები მოწამვლები	221	256,758
ყველა სხვა დაავადება	360	326908
სულ	**10,961**	**13,020,928**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის გიორგი ბირბიჩაძისა და მისი წარმომადგენლობის საქმიანობა სამაჟორიტარო რაიონში (ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა-ფშაველას კვარტლები)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ 2017 წლის 5 დეკემბრის N5-4 დადგენილების მე-15[1] მუხლის შესაბამისად, მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საკრებულოს მაჟორიტარი წევრის უფლებამოსილების ვადით შეიქმნა წარმომადგენლობა. წარმომადგენლობის ძირითადი ამოცანებია:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან შეხვედრების ორგანიზება;
- ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართულობის გაზრდის ხელშეწყობა;

წარმომადგელობა თავისი ამოცანების შესასრულებლად უზრუნველყოფს:

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის მოქალაქეებთან შეხვედრების, მათ შორის, საჯარო შეხვედრების ორგანიზებას;
- მოქალაქეთა წერილების, საჩივრების, განცხადებების საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ აღრიცხვას, შესწავლას;

- წარმომადგენლობაში შესული განცხადებების, წერილების ანალიზს და შესაბამის რეაგირებას;
- სათანადო დასკვნების, რეკომენდაციების ან/და წინადადებების მაჟორიტარი საკრებულოს წევრისთვის წარდგენას;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას საკანონმდებლო ან/და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, კერძო/საჯარო დაწესებულებებთან, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მედია საშუალებებთან ურთიერთობისას;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ხელშეწყობას კანონის შესაბამისად ანგარიშის წარდგენაში;
- საკრებულოს მაჟორიტარი წევრის სამაჟორიტარო ოლქში არსებული პრობლემებისა და აქტუალური საკითხების იდენტიფიცირებაში ხელშეწყობას;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების /პრობლემების აღმოფხვრისა და გადაწყვეტისათვის მაჟორიტარის უფლებამოსილების ვადით შესაბამისი გეგმის შემუშავებაში ხელშეწყობას;
- წარმომადგენლობის საქმიანობისთვის საჭირო სხვა ფუნქციების განხორციელებას.

საკრებულოს მაჟორიტარი წევრი და მისი წარმომადგენლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობასთან ყოველდღიური მუშაობის რეჟიმშია. სამაჟორიტარო ტერიროტორიაზე ვრცელდება ვაკის რაიონის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ორი საუბნო განყოფილების საქმიანობა. კერძოდ: ვაჟა ფშაველას ტერიტორიული ერთეულის და ნუცუბიძის ტერიტორიული ერთეულის.

თანამშრომლობს, როგორც ცენტრალური ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან, ასევე სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან.

ქალაქ თბილისის საკრებულოს ვაკის რაიონის (ნუცუბიძის მიკრორაიონები, ვაჟა-ფშაველას კვარტლები) მაჟორიტარი დეპუტატი, გიორგი ბირბიჩაძისა და მისი წარმომდგენლობის მიერ დაგეგმილი გასვლითი შეხვედრები მოსახლეობასთან ან სხვადასხვა სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგისთვის ხორციელდება ასევე, არასამუშაო დღეებშიც.

მაჟორიტარი წევრის მიერ მოქალაქეთა მიღება ხდება სისტემატურად ყოველ ოთხშაბათ დღეს.

სამაჟორიტარო ოლქში იდენტიფიცირებული პრობლემები:

მოალაქეებთან შეხვედრების, წარმომადგენლობაში მოსახლეობის მხრიდან შემოსული განცხადებების, ასევე წარმომადგენლობის თანამშრომლების მიერ ადგილზე მოკვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, სამაჟორიტარო ოლქში გამოვლინდა პრობლემები სხვადასხვა მიმართულებებით, კერძოდ:

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით:

- ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამებით სარგებლობის საჭიროება
- მედიკამენტების დაფინანსების საჭიროება

სოციალური მიმართულებით:

- სხვადასხვა სახის სოციალური, მათ შორის ერთჯერადი ფინანსური დახმარების საჭიროება

ინფრასტრუქტურული მიმართულებით:

- გზების მშენებლობა
- სანიაღვრე ქსელების, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების გაუმართავი ფუნქციონირება
- გარე განათების ბოძების ნაკლებობა
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსებისათვის ურნების სიმცირე

ტრანსპორტის მიმართულებით:

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის არასაკმარისი რაოდენობა
- დაზიანებული გაჩერების ადგილების შეკეთება

ტერიტორიების გამწვანების და რეკრეაციის მიმართულებით:

- არსებული ბაღების და სკვერების კეთილმოწყობა
- ახალგაზრდებისათვის შესაბამისი დასასვენებელი, გამაჯანსაღებელი და სარეკრეაციო ადგილების შექმნა

მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიმართულებით:

- ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებში შეჭრილი მოსახლეობის ფართების დაკანონება
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშემწყობი პროგრამებით სარგებლობის საჭიროება.

განხორციელებული აქტივობები:

მოქალაქეებთან კომუნიკაცია

კონსულტაცია გაეწია 103 მოქალაქეს და ჩემი შუამდგომლობით მედიკამენტებსა და ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე შემოსული 31 განცხადებიდან დაკმაყოფილებულია 25. ამასთან ერთად შემოსულია განცხადებები გზის კეთილმოწყობასა და ურნების შეცვლის თაობაზე, ასევე შუამდგომლობასა და ლტოლვილების კორპუსთან დაკავშირებით. მოსახლეობის მოთხოვნით კონკრეტულ მისამართებზე განხორციელდა 15 შეხვედრა, რომელთა უმრავლესობა ვაკის რაიონის გამგეობის ბიუჯეტის გათვალისწინებით დაკმაყოფილებულია.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის პერიოდში მოსახლეობის დახმარების კამპანია

საკრებულო, დედაქალაქის მთავრობასთან ერთად, აქტიურად იყო ჩართული კორონავირუსის გავრცელების პრევენციის პერიოდში მოსახლეობის დახმარების კამპანიაში. აღნიშნული კამპანია კერძო სექტორის დახმარებით წარმატებით განხორციელდა.

კერძო სექტორთან თანამშრომლობით სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს და მარტოხელა ხანდაზმულებისთვის საკვები პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები გადავეცით.

თბილისის საკრებულოს კამპანიის ფარგლებში, ჯამში, დახმარება სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან 1 500 ოჯახს გაეწია.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნვულყოფა

ჩემს წარმომადგენლობასთან ერთად ჩართული ვარ, სამაჟორიტარო ოლქში არსებული ორი სოციალურად დაუცველთა სასადილოს ფუნქციონირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხთა მოგვარებაში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობის მიზნით ჩვენგან პერიოდულად მზადდება შუამდგომლობები და ეგზავნება ვაკის რაიონის გამგეობას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის უფლებამოსილ სამსახურს.

სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები

მოთხოვნა	ბენეფიციარის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა
მკურნალობა, ოპერაცია, გამოკვლევა	1062	281549.00
მედიკამენტები	4318	583818.50
ერთჯერადი ფულადი დახმარება	2942	510070.00

სამშენებლო მასალები	100	45142.00
სარეზერვო ფონდი, ფულადი	2	15000.00

ინფრასტრუქტურა

ჩემი როგორც, საკრებულოს მაჟორიტარი წევრის ქ. თბილისის მერიის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან და ვაკის რაიონის გამგეობასთან ინტენსიური თანამშრომლობის შედეგად, სამაჟორიტარო ტერიტორიაზე შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა
- ✓ გზების და ქუჩების ორმოული შეკეთება
- ✓ სანიაღვრე ქსელის მოწყობა
- ✓ სკვერების რეაბილიტაცია, ახალი სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობა
- ✓ კიბეებისა და საყრდენი კედლების მოწყობა

შიდაკვარტალური ქუჩების, ეზოებისა და გზების ასფალტბეტონით მოწყობა	**კვ.მ**	**ფასი**
სანდრო ეულის 5/ანჯაფარიძის 1	1,920.00	148,121.53
ნუც 4მკ 6 კორპ კაპანელის ქუჩა	447.00	21,997.71
ვაჟა-ფშაველას 4 კვ. 1 კორპ 1ა და 1ბ მიმდებარედ	746.50	38,095.45
ნუცუბიძის პლატო 5მკ 3-5-7 კორპ	1,638.00	101,794.59
ვაჟა-ფშაველას 6კვ 37კორპ	400.00	28,122.57
ქავთარაძის N 47	1,152.00	55,591.11
ვაჟა-ფშაველას 6 კვ 19 კორპ	359.00	25,014.49
ნუცუბიძის 1მკ კორპ 12 შიდა ეზო	440.00	23,841.93
ვაჟა-ფშაველას 3 კვ 10 კორპ	542.80	27,294.74
ბანძელაძის ქუჩა (სკოლა ათასწლეულის მიმდებარედ)	1,171.00	78,569.69
მარუხის ქუჩა	2,339.10	135,846.34
მინდელის ქუჩა N7	933.00	65,706.12

პოლიტკოვსკაიას ნ9 ნ39 ნ41 ნ51 ნ59	4,000.00	159,092.58
საშა იოსელიანის და წმინდა ვასილისკოს ქუჩები	2,600.00	102,160.03
ასათიანის და კაპანელის ასასვლელი ქუჩების		99,091.20
	29,058.40	**1,710,011.04**
გზებისა და ქუჩების ორმოული შეკეთება		
თავხელიძის N1	330.00	15,541.87
მამასახლისოვის ნ5	454.40	28,463.44
ვაჟა-ფშაველას 1 კვ. 4 კორპ მიმდებარედ	145.90	7,860.45
ნუც. 4მკ. კორპ 10ა მიმდ	20.70	549.77
ნუცუბიძის 4/მრ 4 კორპ	86.50	2,965.33
ნუცუბუძის 4 მრ კორპ 5	26.40	917.71
ნუცუბიძის 4 მრ კორპ 9	86.50	2,968.37
ნუცუბიძის 4 მრ კორპ 38	46.80	1,244.90
თხინვალას გზა	640.60	34,988.99
ვაჟა-ფშაველას 2 კვ 27 კორპ.		1,013.00
კაპანელის ქუჩა 5 კორპ	47.60	2,276.33
ნუცუბიძის 4 მ/რ-5 მ/რ დამაკავშირებელი	62.20	3,446.09
ნუცუბიძის 1 მ/რ კორპ 16	58.70	2,022.39
ნუცუბიძის 4 მ/რ 1 კორპ (კაპანელის ქუჩა)	1.00	33.10
ნუცუბიძის 1 მ/რ ბედიას ქუჩა (სკოლა ნიუტონი)	27.70	709.51
ნუცუბიძის 4 მ/რ სკოლა 102 მიმდებარედ	93.50	2,564.05
ქუთათელაძის ქ	273.00	12,850.29
ნუცუბიძის 1 მრ 8კორპ	276.00	10,588.30
ამაშუკელის N33	98.00	3,363.58
მარი ჯანის ქუჩა	15.40	398.99
თხინვალას გზა გაჩერებასთან	39.00	2,206.80

სკვერების და დასასვენებელი ტერიტორიების მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთების სამუშაოები

ობიექტის დასახელება	ჯამი
დელისის მიმდებარედ	2,173.41
ნუცუბიძის პლატო 3 მ/რ ში ჟღენტის ქუჩა	600.55
ნუცუბიძის პლატო 4 21 კორპ	1,201.10
ნუცუბიძის პლატო 4 20 კორპ	1,201.10
ნუცუბიძის პლატო 4 24 კორპ	600.55
ნუცუბიძის პლატო 4 36 კორპ	1,201.10

ვაჟა-ფშაველას 2 კვ 27 კორპ	6,007.37
ანა პოლიტოვსკაიას N 44	14,820.67
სულ	**79,977.57**

სპორტული მოედნების მიმდინარე რემონტის სამუშაოები

მისამართი	**თანხა**
ყაზბეგის N55	4,282.55
თავხელიძის ქ. N1	171.10
ვაჟა-ფშაველას 4 კვ N5	4,500.26
ვაჟა-ფშაველას 4 კვ N25	4,385.34
ი.მაჩაბლის N8	16,254.93
ვაჟა-ფშაველას 5 კვს 2 ის იმდებარედ	1,558.84
ვაჟა-ფშაველას 1კვს 3ს მიმდებარედ	114.92
ვაჟა-ფშაველას 3 კვს 15 ს მიმდებარედ	229.84
ნუცუბიძის ფერდობი, IV მკრ. K კორპუსი #21-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობა	99,693.18
ალ. ყაზბეგის გამზირი, კორპუსი №32-ბ-ს მიმდებარედ, არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	93,085.12
ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N-9-ის მიმდებარედ სპორტული მოედნის მოწყობა	310,170.16

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობა - სამაჟორიტარო ოლქში დაფინანსებული პროექტები.

სამაჟორიტარო ტერიტორიაზე 1242 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაა დარეგისტრირებული. ამხანაგობების განვითარების და ხელშეწყობის მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობამ ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსების ფარგლებში სამაჟორიტარო ტერიტორიაზე განახორციელა სხვადსხვა პროექტები, მათ შორის როგორიცაა: სახურავის, წყალსაწრეტის, ლიფტის, შიდა წყალკანალიზაციის, სადარბაზოს, ნაპრალებისა და კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სახეობა	**რაოდენობა**
წყალ-კანალიზაციის მოწყობა	23
სადარბაზოს რეაბილიტაცია	16
სადარბაზოს კარი	12
კიბეების მოწყობა	11
სახურავი	25

წყალსაწრეტი	12
ნაპრალები	6
ლიფტი	36

გიორგი ბირბიჩაძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი

2021 წლის ნოემბრიდან დღემდე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიურლი საქართველოს“ მიერ 16 სხდომა ჩატარდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების რაოდენობა - 25, დავესწარი 11 სხდომას და შევისწავლე 17 საკითხი.

11.16.20	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი
12.14.20	1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის არჩევა
	2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო'' თავმჯდომარის მოადგილის არჩევა
	3. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოსთვის თინათინ ნიბლოშვილის კანდიდატურა წარადგინდა
	4. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად საკრებულოსთვის ლევან არველაძის კანდიდატურის წარდგენა.
12.21.20	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.
12.23.20	1. მიხეილ მესხისა და ბორია ფიცხელაურის ფრაქციის წევრებად მიღების შესახებ
	2. ქ. თბლისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა
12.29.20	

	1. ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო'' წევრად დავით უთმელიძის მიღება
	2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის სახდომაზე განხილულ საკითხებზე ფრაქციათა პოზიციების შეჯერება
01.28.21	1.ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი.
02.18.21	1. მიხეილ მესხისა და ბორია ფიცხელაურის ფრაქციის წევრებად მიღების შესახებ
	2. ქ. თბლისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა
06.22.2021	1. „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ კანონპროექტის, ე.წ. სამშენებლო ამნისტიის განხილვა.
07.23.2021	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოსსაქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ ანგარიშის მოსმენა
08.11.2021	1. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო გარემოსა და საარჩევნო კამპანიის მიმოხილვა.
09.06.2021	1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის სახდომაზე განხილულ საკითხებზე ფრაქციათა პოზიციების შეჯერება